ლურჯი დროშა – სუფთა პლაჟების ინდიკატორი

მაია ბლიაძე

მრავალწლიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ადამიანებს დასუფთავებულ პლაჟზე დასვენება და სუფთა წყალში ბანაობა ურჩევნიათ. ბევრი დამსვენებელი თავის დასასვენებელ ადგილს სწორედ ლურჯი დროშების არსებობით არჩევს.

“ლურჯი დროშა” თავისებური სერტიფიკატია, რომელიც პლაჟის ხარისხს 29 კრიტერიუმის მიხედვით აფასებს, მათ შორის: მოსახერხებელი მისასვლელი პლაჟამდე, წყლის სისუფთავე (ყოველკვირეული ტესტირება), სანაპიროს დასუფთავება და ნაგვის შეგროვება, მუდმივი მონიტორინგი და სამაშველო სამსახურის არსებობა, გადაუდებელი დახმარების მომსახურება, შხაპების არსებობა, ავტოტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვა, შინაური ცხოველების არ დაშვება და სხვ.

სერტიფიკატი ”ლურჯი დროშა” 1985 წელს საფრანგეთში დამტკიცდა და პირველად ფრანგულ საზღვაო მუნიციპალიტეტებს გადაეცათ მიმდებარე სანაპიროსა და ზღვის წყლის სისუფთავის ხარისხის გამო. იმ პერიოდში “ლურჯ დროშას” გადასცემდა არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაცია “ევროპის ეკოლოგიური განათლების ფედერაცია” (FEEE).

1987 წლიდან “ლურჯი დროშის” გადაცემის ფრანგული იდეა ფართოდ გავრცელდა მთელ ევროპაში და ეკოლოგიური მენეჯმენტის ახალი მიმართულებებითაც შეივსო: ნარჩენების უტილიზაცია, სანაპირო დაგეგმარება, სანაპირო ტერიტორიების დაცვა. ამავე წელს, ევროპის 10 ქვეყნის 244 პლაჟმა და 208 უბემ მიიღო “ლურჯი დროშა”. 1987 წლიდან ყოველწლიურად იზრდება “ლურჯი დროშების” რაოდენობა და შეფასების კრიტერიუმებიც საკმაოდ მკაცრდება.

2001 წელს ეს ჯილდო მთელ მსოფლიოში გავრცელდა და ორგანიზაციის სახელიც შეიცვალა – არაკომერციული არასამთავრობო ორგანიზაცია “ეკოლოგიური განათლების ფედერაცია” (FEE). მასში გაერთიანებულია ევროპის, აფრიკის, აზიის, ოკეანეთისა და ამერიკის 60 ქვეყნის 65 ადგილობრივი ორგანიზაცია.

”ლურჯი დროშის“ პროგრამა, ასევე, მოქმედებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, კანადაში, მაროკოში, ახალ ზელანდიასა და კარიბის რეგიონის 4 ქვეყანაში. საპილოტე პროგრამები ფუნქციონირებს ჩილეში, აშშ–ში, არგენტინაში, ბრაზილიაში, ეკვადორში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და სამხრეთ–აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში.

© საავტორო უფლება დაცულია

ამჟამად “ეკოლოგიური განათლების ფედერაცია” თანამშრომლობს გაეროს გარემოსდაცვით პროგრამასთან (UNEP) და მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციასთან (WTO). ფედერაციის ინტერნეტგვერდის მისამართია: http://www.blueflag.org/

„ლურჯი დროშის“ სერტიფიკატის განახლება-გადაცემა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში ყოველი წლის 5 ივნისს ხდება; ხოლო, სამხრეთ ნახევარსფეროსა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში – 1 ნოემბერს. 2013 წელს მსოფლიოს 36 ქვეყნის 3300–მა პლაჟმა მიიღო “ლურჯი დროშის” სერტიფიკატი. ამავე წელს ”ლურჯი დროშების” სიმრავლით ესპანეთი გამოირჩეოდა. აქ დაახლოებით 550 ადგილას ფრიალებდა სისუფთავის ეს სიმბოლო. ხუთეულში შევიდა, ასევე, საბერძნეთი, თურქეთი, საფრანგეთი და პორტუგალია.

ევროპის ქვეყნები, რომლებიც ლიდერობენ “ლურჯი დროშით” დაჯილდოებული პლაჟების რაოდენობით (2013 წ.)

რეიტინგი	**სახელმწიფო**	**„ლურჯი დროშით“ დაჯილდოებული პლაჟების რაოდენობა**	**რეგიონები, სადაც „ლურჯი დროშით“ დაჯილდოებული პლაჟები მდებარეობს**
1	ესპანეთი	550	გალასია
2	საბერძნეთი	393	ლასიტი
3	თურქეთი	383	ანტალია
4	საფრანგეთი	365	პროვანსი- ალპები- ლაჟვარდოვანი სანაპირო
5	პორტუგალია	279	ალგარვე
6	იტალია	248	ლიგურია
7	დანია	242	სამხრეთი დანია
8	ხორვატია	102	ისტრია
9	გაერთიანებული სამეფო	95	უელსი
10	ირლანდია	70	კონაჰტი

საქართველოში „ლურჯი დროშის“ მოპოვების ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს სარფის, ბათუმის, გონიოს, კვარიათისა და ურეკის სანაპიროებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კურორტებს კიდევ უფრო მეტი ტურისტის მოზიდვის პოტენციალი აქვთ.

ზღვაზე დამსვენებელმა, “ლურჯი დროშის” გარდა, სხვა ფერის დროშების მნიშვნელობაც უნდა იცოდეს.

© საავტორო უფლება დაცულია

წითელი დროშა ნიშნავს, რომ წყალში შესვლა აკრძალულია. ამ დროშას მაშინ წევენ, როცა შტორმისა და მაღალი მოქცევის ტალღების საშიშროებაა, აკვატორიაში საშიში მტაცებლები ან ძლიერი მიქცევის დინებები შეინიშნება და სხვ.

ყვითელი დროშა ნიშნავს, რომ პლაჟი ნაწილობრივ დახურულია და ბანაობა რეკომენდებული არ არის, მაშინ, როცა მწვანე და თეთრი დროშების შემთხვევაში, ბანაობა დასაშვებია და ხშირად მათ არც კი აღმართავენ.

შავ დროშას იქ დგამენ, სადაც ხშირად ჩნდებიან ზვიგენები.

© საავტორო უფლება დაცულია

იისფერი დროშაც, ასევე, კრძალავს ბანაობას და დამსვენებლებს აფრთხილებს, რომ წყალში მრავლად არიან ტოქსიკური მედუზები.

ჭადრაკული შავ–თეთრი დროშის საშუალებით, სპეციალურ ზონებს გამოყოფენ სერფინგის და სხვა სახის სპორტის მოყვარულთათვის და, ბუნებრივია, არც ამ ზონაშია ბანაობა სასურველი.

წითელ და ყვითელ ფერებიანი დროშით საბანაოდ ნებადართულ ზონას გამოყოფენ, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ მაშველების მეთვალყურეობის ქვეშ.

© საავტორო უფლება დაცულია

ყვითელი დროშა შავი წრით, ძირითადად, აშშ–ში გამოიყენება. იგი სერფინგის მოყვარულებს აუწყებს, რომ ამ ადგილებში სპორტის ეს სახეობა აკრძალულია.

© საავტორო უფლება დაცულია